585/1993/2

ISSN 0203—2023

1993

№ 4

საქართველოს პარლამენტის

უწყებები

№142 (4-6)

თბილისი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

საქართველოს პარლამენტის

ფ ი ნ ა ნ ს ე ბ ი

№ 4 (621) თებერვალი 1993 წელი

შ ი ნ ა ა რ ს ი

განყოფილება პირველი

18. საქართველოს პარლამენტის დადგენილება რუსეთ-საქართველოს მოლაპარაკების წარმართვისა და აფხაზეთში კონფლიქტის დამთავრების ღონისძიებათა შესახებ.
19. საქართველოს პარლამენტის დადგენილება თეიმურაზ შაშიაშვილისა და რომან მელიასათვის პარლამენტის წევრის უფლებამოსილების შეწყვეტის შესახებ.
20. საქართველოს პარლამენტის დადგენილება საქართველოს პარლამენტის საქმიანობის სამეურნეო უზრუნველყოფის ღონისძიებათა შესახებ.
21. საქართველოს რესპუბლიკის კანონი „საქართველოს პარლამენტის წევრის სტატუსის შესახებ“ საქართველოს რესპუბლიკის კანონის მე-6 მუხლის თაობაზე.
22. საქართველოს რესპუბლიკის კანონი საქართველოს რესპუბლიკის საერთაშორისო ხელშეკრულების დადების, რატიფიკაციის, შესრულებისა და დენონსაციის შესახებ.
23. საქართველოს პარლამენტის დადგენილება „საქართველოს რესპუბლიკის საერთაშორისო ხელშეკრულების დადების, რატიფიკაციის, შესრულებისა და დენონსაციის შესახებ“ საქართველოს რესპუბლიკის კანონის სამოქმედოდ შემოღების თაობაზე.

24. საქართველოს პარლამენტის დადგენილება სახელმწიფო საკონსტიტუციო კომისიის შექმნის შესახებ.

25. საქართველოს პარლამენტის დადგენილება სახელმწიფო საკონსტიტუციო კომისიის თავმჯდომარედ ედუარდ შევარდნაძის არჩევის შესახებ.

26. საქართველოს პარლამენტის დადგენილება სანდრო კავსაძისათვის პარლამენტის წევრის უფლებამოსილების შეწყვეტის შესახებ.

27. საქართველოს პარლამენტის დადგენილება საქართველოს პარლამენტის განათლებისა და მეცნიერების კომისიაში ცვლილების შესახებ.

28. საქართველოს პარლამენტის დადგენილება საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის დაცვისას დაინვალიდებულ სამხედრო მოსამსახურეთა და მოხალისეთა, დაღუპულ მებრძოლთა ოჯახის წევრთათვის პენსიების დანიშვნისა და შეღავათების დაწესების შესახებ.

29. საქართველოს რესპუბლიკის კანონი საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის შესახებ საქართველოს რესპუბლიკის კანონის 25-ე მუხლში ცვლილების თაობაზე.

30. საქართველოს პარლამენტის დადგენილება საქართველოს რესპუბლიკასა და რუსეთის ფედერაციას შორის ურთიერთობათა საკითხებზე საქართველოს პარლამენტში გამართული დისკუსიის გამო.

31. საქართველოს პარლამენტის დადგენილება აფხაზეთის ტერიტორიაზე მყოფი რუსეთის საჯარისო ნაწილების შესახებ.

32. საქართველოს პარლამენტის დადგენილება საქართველოს მოქალაქეობის შესახებ საქართველოს რესპუბლიკის კანონის თაობაზე.

განყოფილება მეორე

33. საქართველოს პარლამენტის განცხადება

ეროვნული
ბიბლიოთეკა

განყოფილება პირველი

საქართველოს პარლამენტის დადგენილება

18 რუსეთ-საქართველოს მოლაპარაკების წარმართვისა და აფხაზეთში კონფლიქტის დამთავრების ღონისძიებათა შესახებ

საქართველოს პარლამენტი **ადგენს:**

1. მიეცეს რწმუნება საქართველოს სახელმწიფოს მეთაურსა და საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტს — წარმართონ მოლაპარაკება რუსეთის ფედერაციის მთავრობასთან ორ სახელმწიფოს შორის ურთიერთობის თაობაზე საქართველოს ეროვნული, სახელმწიფოებრივი ინტერესების სრული დაცვის პირობით.

2. დაევალოს საქართველოს ეროვნული უშიშროებისა და თავდაცვის საბჭოს, პარლამენტის თავდაცვისა და ეროვნული უშიშროების მუდმივი კომისიისა და აფხაზეთის საქმეთა დროებითი კომისიის მონაწილეობით, საქართველოს რესპუბლიკის თავდაცვის სამინისტროსთან, აფხაზეთის მთავრობასთან და ეროვნული ხსნის კომიტეტთან, სხვა დაინტერესებულ უწყებებთან ერთად, აფხაზეთის საკითხებზე საპარლამენტო დებატების დროს შემოტანილ წინადადებათა გათვალისწინებით შეიმუშაოს და განახორციელოს გადაუდებელი ღონისძიებანი აფხაზეთის კონფლიქტის დროულად და ღირსეულად დამთავრებისათვის და 10 დღის ვადაში წარმოუდგინოს ინფორმაცია საქართველოს პარლამენტს.

40317

საქართველოს პარლამენტის სპიკერი ვახტანგ გოგუაძე.

თბილისი, 1993 წლის 4 თებერვალი.

საქართველოს
ეროვნული
ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

19 თეიმურაზ შაშიაშვილისა და რომან მელიასათვის პარლამენტის წევრის უფლებამოსილების შეწყვეტის შესახებ

საქართველოს პარლამენტი **ადგენს:**

1. შეუწყდეთ თეიმურაზ **შაშიაშვილსა** და რომან **მელიას** პარლამენტის წევრის უფლებამოსილება შესაბამისად ქალაქ ქუთაისისა და ქალაქ ფოთის მერად მათს დანიშვნასთან დაკავშირებით.

2. წინადადება მიეცეს საქართველოს რესპუბლიკის ცენტრალურ საარჩევნო კომისიას ჩაატაროს პარლამენტში ქალაქ ქუთაისისა და ქალაქ ფოთის დეპუტატთა არჩევნები.

საქართველოს პარლამენტის სპიკერი ვახტანგ გოგუაძე.

თბილისი, 1993 წლის 9 თებერვალი.

საქართველოს პარლამენტის დადგენილება

20 საქართველოს პარლამენტის საქმიანობის სამეურნეო უზრუნველყოფის ღონისძიებათა შესახებ

საქართველოს პარლამენტის გამართული საქმიანობის უზრუნველყოფის, პარლამენტის ხელმძღვანელობის, მუდმივი კომისიებისა და ფრაქციების, პარლამენტის წევრებისათვის სათანადო სამუშაო პირობების შექმნის მიზნით საქართველოს პარლამენტი **ადგენს:**

1. საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტმა საქართველოს პარლამენტს ბალანსიდან ბალანსზე გადასცეს პარლამენტის ადმინისტრაციული შენობა და მისი კვების ბლოკი.

2. შენობის მიღება-ჩაბარება განხორციელდეს აღდგენით-სამშენებლო სამუშაოთა დამთავრების შემდეგ სახელმწიფო კომისიის მიერ გაფორმებული აქტის საფუძველზე.

3. დაწესდეს პარლამენტის წევრებისა და პარლამენტის აპარატის სისტემატური კონტროლი საქართველოს პარლამენტის ადმინისტრაციული შენობის აღდგენით-სამშენებლო სამუშაოთა მიმდინარეობაზე.

4. აღიკვეთოს საქართველოს პარლამენტის ადმინისტრაციულ შენობაში ნებისმიერი სხვა სახელმწიფო ორგანოსა თუ საზოგადოებრივი ორგანიზაციის განთავსება.

5. შეიქმნას საქართველოს პარლამენტის აპარატში სამეურნეო სამსახური და ამასთან დაკავშირებით გადიდდეს საქართველოს პარლამენტის აპარატის შტატები (სამეურნეო სამსახურის დებულება და სტრუქტურა ერთვის დედანს).

6. შეიქმნას საქართველოს პარლამენტის ავტოგარაჟი სამეურნეო ანგარიშზე, რისთვისაც საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტმა საქართველოს პარლამენტს გადასცეს ხოშარაულის ქუჩაზე მდებარე თავისი ავტოგარაჟი, აგრეთვე სათანადო სატრანსპორტო საშუალებანი, მათი სათადარიგო ნაწილები, ავტოგარაჟის ინვენტარი და მოწყობილობა.

7. დაევალოს საქართველოს რესპუბლიკის ფინანსთა სამინისტროს:

ა) შეუმციროს საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტს საქართველოს პარლამენტის შენობის მოვლა-პატრონობის, დაცვის, ავტოტრანსპორტით მომსახურების ხარჯები;

ბ) გამოყოს სათანადო სახსრები საქართველოს პარლამენტის საქმიანობის სამეურნეო უზრუნველყოფისათვის. 1993 წლის მეორე და შემდგომი კვარტალების სახელმწიფო ბიუჯეტში გაითვალისწინოს პარლამენტის შესანახი სათანადო სახსრები.

8. დაევალოს საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტს უზრუნველყოს მისდამი დაქვემდებარებულ სტამბაში საქართველოს პარლამენტის უწყებებისა და სხვა მასალების ოპერატიულად დაბეჭდვა.

9. დაევალოს ქალაქ თბილისის მერიას დააჩქაროს სასტუმრო „საქართველოს“ სარემონტო სამუშაოების დამთავრება, რის შემდეგაც საქართველოს პარლამენტს გამოუყოს საჭირო რაოდენობის ნომრები.

საქართველოს პარლამენტის სპიკერი ვახტანგ გოგუაძე.

თბილისი, 1993 წლის 9 თებერვალი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

21 „საქართველოს პარლამენტის წევრის სტატუსის შესახებ“ საქართველოს რესპუბლიკის კანონის მე-6 მუხლის თაობაზე

საქართველოს პარლამენტი **ადგენს:**

„საქართველოს პარლამენტის წევრის სტატუსის შესახებ“ საქართველოს რესპუბლიკის 1992 წლის 28 დეკემბრის კანონის მე-6 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

მუხლი 6. პარლამენტის წევრის საქმიანობა საარჩევნო ოლქში

პარლამენტის წევრი თვალყურს ადევნებს ხელისუფლებისა და მმართველობის ადგილობრივი ორგანოების საქმიანობას, პარლამენტის პოლიტიკის განხორციელებას ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე. აღნიშნული ამოცანების გადასაწყვეტად პარლამენტის წევრი იღებს მოქალაქეებს, ხვდება ამომრჩევლებს, ატარებს კონსულტაციებს ხელისუფლებისა და მმართველობის ადგილობრივ და ცენტრალურ ორგანოთა ხელმძღვანელებთან, პოლიტიკურ და საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენლებთან.

პარლამენტის წევრისათვის ამ საქმიანობაში ხელის შეწყობის მიზნით საარჩევნო ოლქის ცენტრში იქმნება პარლამენტის წარმომადგენლობა, რომლის ფუნქციები, შტატები, ორგანიზაციისა და საქმიანობის წესი განისაზღვრება დებულებით, რომელსაც ამტკიცებს საქართველოს პარლამენტის სპიკერი.

პარლამენტის წევრის განცხადების საფუძველზე სახელმწიფო და ადგილობრივი ორგანოები ვალდებულნი არიან აღმოუჩინონ მას სხვა აუცილებელი დახმარება.

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე —
სახელმწიფოს მეთაური ედუარდ შევარდნაძე.

საქართველოს პარლამენტის სპიკერი ვახტანგ გოგუაძე.

თბილისი, 1993 წლის 9 თებერვალი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

22 საქართველოს რესპუბლიკის საერთაშორისო ხელშეკრულების დადების, რატიფიკაციის, შესრულებისა და დენონსაციის შესახებ

I. ზოგადი დებულებები

მუხლი 1. კანონის ამოცანები

საქართველოს რესპუბლიკის საერთაშორისო ხელშეკრულების — სახელმწიფოთაშორისო და სამთავრობათაშორისო ხელშეკრულების დადების, რატიფიკაციის, შესრულებისა და დენონსაციის წესი, რომელიც ამ კანონით არის დადგენილი, გამოიყენება საქართველოს რესპუბლიკის საერთაშორისო ხელშეკრულების მიმართ, მიუხედავად მისი ფორმისა და სახელწოდებისა (ხელშეკრულება, შეთანხმება, კონვენცია, პაქტი, ქარტია, ოქმი, დეკლარაცია, კომუნიკე, წერილების ან ნოტების გაცვლა, სხვა ფორმისა და სახელწოდების საერთაშორისო ხელშეკრულებები) .

მუხლი 2. საქართველოს რესპუბლიკის საერთაშორისო ხელშეკრულება

საქართველოს რესპუბლიკის საერთაშორისო ხელშეკრულება უცხოეთის სახელმწიფოებთან და საერთაშორისო ორგანიზაციებთან იდება საქართველოს რესპუბლიკისა და საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის სახელით.

საქართველოს რესპუბლიკა საერთაშორისო ხელშეკრულების დადებისა და შესრულებისას ხელმძღვანელობს საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებული პრინციპებითა და ნორმებით.

II. საქართველოს რესპუბლიკის საერთაშორისო ხელშეკრულების დადების პროცედურა

მუხლი 3. წინადადება საქართველოს რესპუბლიკის საერთაშორისო ხელშეკრულების დადების შესახებ

წინადადებას საქართველოს რესპუბლიკის საერთაშორისო ხელშეკრულების დადების შესახებ საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარეს — სახელმწიფოს მეთაურს და საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტს წარუდგენს საქართველოს რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტრო.

მუხლი 4. გადაწყვეტილება საქართველოს რესპუბლიკის საერთაშორისო ხელშეკრულების თაობაზე მოლაპარაკების გამართვის შესახებ

ეროვნული ბიბლიოთეკა

გადაწყვეტილებას საქართველოს რესპუბლიკის საერთაშორისო ხელშეკრულების თაობაზე მოლაპარაკების გამართვის შესახებ იღებს:

ა) საქართველოს რესპუბლიკის სახელით დასადებ ხელშეკრულებაზე — საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე — სახელმწიფოს მეთაური;

ბ) საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის სახელით დასადებ ხელშეკრულებაზე — საქართველოს რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრი.

მუხლი 5. საქართველოს რესპუბლიკის საერთაშორისო ხელშეკრულების თაობაზე მოლაპარაკების გამართვის უფლებამოსილება

საქართველოს რესპუბლიკის საერთაშორისო ხელშეკრულების თაობაზე მოლაპარაკების გამართვის უფლებამოსილებას იძლევა:

ა) საქართველოს რესპუბლიკის სახელით დასადებ ხელშეკრულებაზე — საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე — სახელმწიფოს მეთაური;

ბ) საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის სახელით დასადებ ხელშეკრულებაზე — საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტი;

უცხოეთის სახელმწიფოში საქართველოს რესპუბლიკის დიპლომატიური წარმომადგენლობის მეთაურს ან საერთაშორისო ორგანიზაციაში საქართველოს რესპუბლიკის წარმომადგენლობის მეთაურს საქართველოს რესპუბლიკის საერთაშორისო ხელშეკრულების დადების თაობაზე შესაბამის სახელმწიფოსთან ან კონკრეტული საერთაშორისო ორგანიზაციის ფარგლებში მოლაპარაკება შეუძლია გამართოს სპეციალური უფლებამოსილების გარეშე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მუხლი 6. საქართველოს რესპუბლიკის საერთაშორისო ხელშეკრულების თაობაზე მოლაპარაკების გამართვა და ხელმოწერა სპეციალური უფლებამოსილების გარეშე

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარეს — სახელმწიფოს მეთაურს, საქართველოს რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრსა და საქართველოს რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრს შეუძლიათ გამართონ მოლაპარაკება და ხელი მოაწერონ საქართველოს რესპუბლიკის საერთაშორისო ხელშეკრულებას სპეციალური უფლებამოსილების გარეშე.

მუხლი 7. საქართველოს რესპუბლიკის საერთაშორისო ხელშეკრულების ხელმოწერის სპეციალური უფლებამოსილება

საქართველოს რესპუბლიკის საერთაშორისო ხელშეკრულების ხელმოწერის სპეციალურ უფლებამოსილებას იძლევა:

ა) საქართველოს რესპუბლიკის სახელით დასადებ ხელშეკრულებაზე საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე — სახელმწიფოს მეთაური;

ბ) საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის სახელით დასადებ ხელშეკრულებაზე — საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტი.

III. საქართველოს რესპუბლიკის საერთაშორისო ხელშეკრულების რატიფიკაცია

მუხლი 8. საქართველოს რესპუბლიკის საერთაშორისო ხელშეკრულების რატიფიკაცია

„სახელმწიფო ხელისუფლების შესახებ“ საქართველოს რესპუბლიკის კანონის შესაბამისად საქართველოს რესპუბლიკის საერთაშორისო ხელშეკრულების რატიფიკაციას ახდენს საქართველოს პარლამენტი.

მუხლი 9. საქართველოს რესპუბლიკის სარატიფიკაციო საერთაშორისო ხელშეკრულება

რატიფიკაციას ექვემდებარება საქართველოს რესპუბლიკის საერთაშორისო ხელშეკრულება სახელმწიფოთაშორისო ურთიერ-

თობათა შესახებ, მათ შორის ხელშეკრულება ძალის გამოყენებაზე ან ძალის გამოყენებით დამუქრებაზე ორმხრივი უარისთქმის შესახებ, ხელშეკრულება ურთიერთცნობისა და დიპლომატიური ურთიერთობის დამყარების შესახებ, საზავო ხელშეკრულება, ხელშეკრულება სხვა სახელმწიფოებთან საქართველოს ტერიტორიული გამიჯვნის შესახებ, ხელშეკრულება, რომელიც საქართველოს რესპუბლიკის კანონმდებლობით დადგენილი წესებისაგან განსხვავებულ სხვა წესებს ადგენს.

რატიფიკაციას ექვემდებარება აგრეთვე საქართველოს რესპუბლიკის საერთაშორისო ხელშეკრულება, რომელზეც მხარეები დათქვამენ მისი შემდგომი რატიფიკაციის აუცილებლობას.

მუხლი 10. საქართველოს რესპუბლიკის საერთაშორისო ხელშეკრულების სარატიფიკაციოდ წარდგენა

საქართველოს რესპუბლიკის საერთაშორისო ხელშეკრულებას საქართველოს პარლამენტს სარატიფიკაციოდ წარუდგენს საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე — სახელმწიფოს მეთაური, ხოლო შესაბამის საერთაშორისო ხელშეკრულებას — საქართველოს რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრი.

მუხლი 11. სარატიფიკაციოდ წარდგენილი საქართველოს რესპუბლიკის საერთაშორისო ხელშეკრულების წინასწარი განხილვა

საქართველოს პარლამენტის საგარეო საქმეთა კომისია წინასწარ განიხილავს სარატიფიკაციოდ წარდგენილ საქართველოს რესპუბლიკის საერთაშორისო ხელშეკრულებას და იძლევა შესაბამის დასკვნას.

მუხლი 12. საქართველოს რესპუბლიკის საერთაშორისო ხელშეკრულების რატიფიკაციის შესახებ გადაწყვეტილების მიღება

სარატიფიკაციოდ წარდგენილ საქართველოს რესპუბლიკის საერთაშორისო ხელშეკრულებას განიხილავს საქართველოს პარლამენტი და გამოაქვს შესაბამისი გადაწყვეტილება.

საქართველოს პარლამენტის გადაწყვეტილება საქართველოს რესპუბლიკის საერთაშორისო ხელშეკრულების რატიფიკაციის

შესახებ მიიღება დადგენილების სახით. რატიფიკაციის შესახებ გამოტანილი დადგენილების საფუძველზე გაცემულ რატიფიკაციის სიგელს ხელს აწერს საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე — სახელმწიფოს მეთაური, ხოლო ადასტურებს საქართველოს რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრი.

საქართველოს რესპუბლიკის საერთაშორისო ხელშეკრულება, რომელიც საჭიროებს რატიფიკაციას და არ იქნება რატიფიცირებული პარლამენტის მიერ, ჩაითვლება იურიდიული ძალის არმქონედ.

თუ საქართველოს რესპუბლიკის საერთაშორისო ხელშეკრულება არ იქნება რატიფიცირებული, საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარეს — სახელმწიფოს მეთაურს უფლება აქვს ეს ხელშეკრულება ხელახლა წარუდგინოს სარატიფიკაციოდ საქართველოს პარლამენტს.

მუხლი 13. რატიფიკაციის სიგელის გაცვლა და შესანახად ჩაბარება

საქართველოს რესპუბლიკის საერთაშორისო ხელშეკრულების რატიფიკაციის სიგელს გაცვლის და დეპოზიტარს შესანახად აბარებს საქართველოს რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტრო ან მისი დავალებით საქართველოს რესპუბლიკის დიპლომატიური წარმომადგენლობა, ან საქართველოს რესპუბლიკის წარმომადგენლობა საერთაშორისო ორგანიზაციაში, ან საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის — სახელმწიფოს მეთაურის მიერ უფლებამოსილი პირი.

მუხლი 14. საერთაშორისო ხელშეკრულებასთან შეერთება

გადაწყვეტილებას საერთაშორისო ხელშეკრულებასთან საქართველოს რესპუბლიკის შეერთების შესახებ იღებს:

ა) სარატიფიკაციო ხელშეკრულების თაობაზე — საქართველოს პარლამენტი საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის — სახელმწიფოს მეთაურის წარდგენით დადგენილების სახით;

ბ) არასარატიფიკაციო ხელშეკრულების თაობაზე, რომელთან შეერთებაც ხდება საქართველოს რესპუბლიკის სახელით,—საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე — სახელმწიფოს მეთაური ბრძანებულების სახით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გ) იმ არასარატიფიკაციო ხელშეკრულების თაობაზე, რომელთან შეერთებაც ხდება საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის ხელით, — საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტი დადგენილების სახით.

IV. საქართველოს რესპუბლიკის საერთაშორისო ხელშეკრულების შესრულება

მუხლი 15. საქართველოს რესპუბლიკის საერთაშორისო ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფა

საქართველოს რესპუბლიკა საქართველოს რესპუბლიკის საერთაშორისო ხელშეკრულებას განუხრელად უნდა იცავდეს საერთაშორისო სამართლის ნორმებისა და პრინციპების შესაბამისად.

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე — სახელმწიფოს მეთაური, საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტი საქართველოს რესპუბლიკის კანონმდებლობის შესაბამისად ახორციელებენ ღონისძიებებს საქართველოს რესპუბლიკის საერთაშორისო ხელშეკრულების შესრულების უზრუნველსაყოფად.

მუხლი 16. საქართველოს რესპუბლიკის საერთაშორისო ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვალდებულებათა შესრულება

საქართველოს რესპუბლიკის სამინისტროები, კომიტეტები, უწყებები და სხვა სახელმწიფო ორგანოები, რომელთა კომპეტენციაშიც შედის საქართველოს რესპუბლიკის საერთაშორისო ხელშეკრულებით განსაზღვრული საკითხები, უზრუნველყოფენ ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვალდებულებათა შესრულებას, თვალს ადევნებენ ასეთი ხელშეკრულებიდან გამომდინარე საქართველოს რესპუბლიკისათვის მინიჭებული უფლებების განხორციელებას და ხელშეკრულების სხვა მონაწილეების მიერ ვალდებულებათა შეს-რულებას.

საქართველოს რესპუბლიკის საერთაშორისო ხელშეკრულების შესრულებისადმი საერთო მეთვალყურეობას ახორციელებს საქართველოს რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტრო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მუხლი 17. საქართველოს რესპუბლიკის საერთაშორისო ხელშეკრულების სხვა მონაწილეების მიერ ვალდებულებათა დარღვევა

საქართველოს რესპუბლიკის საერთაშორისო ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვალდებულებათა სხვა მონაწილეების მიერ დარღვევის შემთხვევაში საქართველოს რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტრო და საქართველოს რესპუბლიკის სხვა სამინისტროები, კომიტეტები და უწყებები საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტთან შეთანხმებით წარუდგენენ საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარეს — სახელმწიფოს მეთაურს წინადადებებს საჭირო ღონისძიებათა განსახორციელებლად. ეს ღონისძიებები არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებულ ნორმებსა და პრინციპებს.

საქართველოს რესპუბლიკის საერთაშორისო ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვალდებულებათა სხვა მონაწილეების მიერ არსებითი დარღვევის შემთხვევაში, აგრეთვე საერთაშორისო სამართლით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში, ასეთი ხელშეკრულება შეიძლება შეწყდეს ამ კანონის მე-20—23-ე მუხლებით დადგენილი წესით.

V. საქართველოს რესპუბლიკის საერთაშორისო ხელშეკრულების გამოქვეყნება და რეგისტრაცია

მუხლი 18. საქართველოს რესპუბლიკის საერთაშორისო ხელშეკრულების გამოქვეყნება

საქართველოს რესპუბლიკის სახელით დადებული ძალაში შესული საქართველოს რესპუბლიკის საერთაშორისო ხელშეკრულება, რატიფიცირებული ხელშეკრულება და ხელშეკრულება, რომელთან შეერთებაც მოხდა საქართველოს პარლამენტის გადაწყვეტილებით, ქვეყნდება საქართველოს პარლამენტის უწყებებში.

საქართველოს რესპუბლიკის სახელით დადებული არასარატიფიკაციო ხელშეკრულება, რომელთან შეერთებაც მოხდა საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის — სახელმწიფოს მეთაურის ბრძანებულებით, ქვეყნდება საქართველოს პარლამენტის უწყებებში.

საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის სახელით დადებული ძალაში შესული საერთაშორისო ხელშეკრულება, არასარატიფიკაციო ხელშეკრულება და ხელშეკრულება, რომელთან შეერთებაც მოხდა საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის გადაწყვეტილებით, ქვეყნდება საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის დადგენილებათა კრებულში.

საქართველოს რესპუბლიკის საერთაშორისო ხელშეკრულება, რომლის აუთენტური ტექსტები შედგენილია უცხო ენებზე, ქვეყნდება ამ ენათაგან ერთ-ერთზე ოფიციალური ქართული თარგმანითურთ.

მუხლი 19. საქართველოს რესპუბლიკის საერთაშორისო ხელშეკრულების რეგისტრაცია

საქართველოს რესპუბლიკის საერთაშორისო ხელშეკრულების რეგისტრაციას ახორციელებს საქართველოს რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტრო.

VI. საქართველოს რესპუბლიკის საერთაშორისო ხელშეკრულების დენონსაცია

მუხლი 20. წინადადება საქართველოს რესპუბლიკის საერთაშორისო ხელშეკრულების დენონსაციის შესახებ

წინადადებას საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფოთაშორისო და სამთავრობათაშორისო ხელშეკრულების დენონსაციის შესახებ საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარეს — სახელმწიფოს მეთაურს წარუდგენს საქართველოს რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტრო საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტთან შეთანხმებით.

მუხლი 21. საქართველოს რესპუბლიკის საერთაშორისო ხელშეკრულების სადენონსაციოდ წარდგენა

საქართველოს რესპუბლიკის საერთაშორისო ხელშეკრულებას საქართველოს პარლამენტს სადენონსაციოდ წარუდგენს საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე — სახელმწიფოს მეთაური.

საერთაშორისო ხელშეკრულების სადენონსაციოდ წარდგენის უფლება აქვს აგრეთვე პარლამენტის წევრთა ჯგუფს პარლამენტის სიითი შემადგენლობის არანაკლებ ერთი მეხუთედის რაოდენობით.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მუხლი 22. საქართველოს რესპუბლიკის საერთაშორისო ხელშეკრულების დენონსაცია საქართველოს პარლამენტის მიერ

დენონსაციას საქართველოს რესპუბლიკის საერთაშორისო ხელშეკრულებისა, რომლის ხელმოწერის გადაწყვეტილებაც მიღებულია საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის — სახელმწიფოს მეთაურის მიერ, ასევე რატიფიცირებული ხელშეკრულების და იმ ხელშეკრულებისა, რომელთან შეერთებაც მოხდა საქართველოს პარლამენტის ან საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის — სახელმწიფოს მეთაურის გადაწყვეტილებით, ახდენს საქართველოს პარლამენტი.

გადაწყვეტილება საქართველოს პარლამენტის მიერ საქართველოს რესპუბლიკის საერთაშორისო ხელშეკრულების დენონსაციის შესახებ მიიღება დადგენილების სახით.

საქართველოს პარლამენტის საგარეო საქმეთა კომისია წინასწარ განიხილავს სადენონსაციოდ წარდგენილ საქართველოს რესპუბლიკის საერთაშორისო ხელშეკრულებას და იძლევა შესაბამის დასკვნას.

თუ საქართველოს რესპუბლიკის საერთაშორისო ხელშეკრულება არ იქნება დენონსირებული საქართველოს პარლამენტის მიერ, საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარეს — სახელმწიფოს მეთაურს ან პარლამენტის წევრებს ამ კანონის 21-ე მუხლით განსაზღვრული რაოდენობით უფლება აქვთ ეს ხელშეკრულება ხელახლა წარუდგინონ სადენონსაციოდ საქართველოს პარლამენტს.

მუხლი 23. საქართველოს რესპუბლიკის საერთაშორისო ხელშეკრულების გაუქმება

საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის სახელით დადებულ საერთაშორისო ხელშეკრულებას, რომლის ხელმოწერის გადაწყვეტილებაც მიღებულია საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის მიერ, საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის სახელით დადებულ არასარატიფიკაციო ხელშეკრულებას, რომელთან შეერთებაც მოხდა საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის დადგენილებით, აუქმებს საქართველოს პარლამენტი საკუთარი ინიციატივით, პარლამენტის თავმჯდომარის — სახელმწიფოს მეთაურის ან საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის წარდგენით.

აღნიშნული გადაწყვეტილება მიიღება პარლამენტის დადგენილების სახით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე —
სახელმწიფოს მეთაური ედუარდ შევარდნაძე.

საქართველოს პარლამენტის სპიკერი ვახტანგ გოგუაძე.

თბილისი, 1993 წლის 11 თებერვალი.

საქართველოს პარლამენტის დადგენილება

23 „საქართველოს რესპუბლიკის საერთაშორისო ხელშეკრულების დადების, რატიფიკაციის, შესრულებისა და დენონსაციის შესახებ“ საქართველოს რესპუბლიკის კანონის სამოქმედოდ შემოღების თაობაზე

საქართველოს პარლამენტი **ადგენს:**

1. „საქართველოს რესპუბლიკის საერთაშორისო ხელშეკრულების დადების, რატიფიკაციის, შესრულებისა და დენონსაციის შესახებ“ საქართველოს რესპუბლიკის კანონი სამოქმედოდ შემოღებულ იქნეს გამოქვეყნებისთანავე.

2. ძალადაკარგულად ჩაითვალოს „საქართველოს რესპუბლიკის საერთაშორისო ხელშეკრულების დადების, რატიფიკაციის, შესრულებისა და დენონსაციის შესახებ“ საქართველოს რესპუბლიკის 1991 წლის 25 ივლისის კანონი.

საქართველოს პარლამენტის სპიკერი ვახტანგ გოგუაძე.

თბილისი, 1993 წლის 11 თებერვალი.

საქართველოს პარლამენტის დადგენილება

24 სახელმწიფო საკონსტიტუციო კომისიის შექმნის შესახებ

საქართველოს სრული დამოუკიდებლობის, თანამედროვე ქართული სახელმწიფოს არსებობის და განვითარების, დემოკრატიული აღმშენებლობის აუცილებელი პირობაა საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუციის ტექსტის შემუშავება და მიღება.

ამ მიზნით საქართველოს პარლამენტი **ადგენს:**

1. შეიქმნას საქართველოს 1921 წლის კონსტიტუციის ახალი რედაქციის შემმუშავებელი სახელმწიფო საკონსტიტუციო კომისია.

2. არჩეულ იქნეს სახელმწიფო საკონსტიტუციო კომისიის თავმჯდომარე საქართველოს პარლამენტის დროებითი რეგლამენტის 22-ე და 28—30-ე მუხლებით გათვალისწინებული წესით.

3. დაევალოს სახელმწიფო საკონსტიტუციო კომისიის თავმჯდომარეს საქართველოს პარლამენტის მუდმივი კომისიებისა და ფრაქციების თავმჯდომარეებთან, პარლამენტის წევრებთან კონსულტაციების შემდეგ პარლამენტს დასამტკიცებლად წარუდგინოს კომისიის შემადგენლობა.

4. დაევალოს საქართველოს სახელმწიფო საკონსტიტუციო კომისიას 1993 წლის დეკემბრამდე წარმოადგინოს საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუციის ახალი რედაქციის **პროექტი.**

5. სახელმწიფო საკონსტიტუციო კომისია ანგარიშვალდებულია საქართველოს პარლამენტის წინაშე და სისტემატურად მოახსენებს მას კონსტიტუციის ახალი რედაქციის პროექტზე მუშაობის მიმდინარეობის შესახებ.

საქართველოს პარლამენტის სპიკერი ვახტანგ გოგუაძე.

20317

თბილისი, 1993 წლის 16 თებერვალი.

საქართველოს პარლამენტის დადგენილება

25 **სახელმწიფო საკონსტიტუციო კომისიის თავმჯდომარედ ედუარდ შევარდნაძის არჩევის შესახებ**

საქართველოს პარლამენტი **ადგენს:**

საქართველოს 1921 წლის კონსტიტუციის ახალი რედაქციის შემმუშავებელი სახელმწიფო საკონსტიტუციო კომისიის თავმჯდომარედ არჩეულ იქნეს საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე — სახელმწიფოს მეთაური **ედუარდ შევარდნაძე.**

საქართველოს პარლამენტის სპიკერი ვახტანგ გოგუაძე.

თბილისი, 1993 წლის 16 თებერვალი.

საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს პარლამენტის დადგენილება

26 სანდრო კავსაძისათვის პარლამენტის წევრის უფლებამოსილების შეწყვეტის შესახებ

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს პარლამენტი **ადგენს:**

შეუწყდეს სანდრო **კავსაძეს** პარლამენტის წევრის უფლებამოსილება საქართველოს რესპუბლიკის ადამიანის უფლებათა დაცვისა და ეროვნებათშორისო ურთიერთობის კომიტეტის თავმჯდომარედ მის დანიშვნასთან დაკავშირებით.

საქართველოს პარლამენტის სპიკერი ვახტანგ გოგუაძე.

თბილისი, 1993 წლის 16 თებერვალი.

საქართველოს პარლამენტის დადგენილება

27 საქართველოს პარლამენტის განათლებისა და მეცნიერების კომისიაში ცვლილების შესახებ

საქართველოს პარლამენტი **ადგენს:**

არჩეულ იქნეს პარლამენტის წევრი ბესარიონ **ფაჩუაშვილი** საქართველოს პარლამენტის განათლებისა და მეცნიერების კომისიის შემადგენლობაში.

საქართველოს პარლამენტის სპიკერი ვახტანგ გოგუაძე.

თბილისი, 1993 წლის 16 თებერვალი.

საქართველოს პარლამენტის დადგენილება

28 საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის დაცვისას დაინვალიდებულ სამხედრო მოსამსახურეთა და მოხალისეთა, დალუპულ მებრძოლთა ოჯახის წევრთათვის პენსიების დანიშვნისა და შელავათების დაწესების შესახებ

საქართველოს პარლამენტი **ადგენს:**

1. საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის დაცვისას დაინვალიდებულ სამხედრო მოსამსახურეებსა და მოხალისეებს, შინაგან საქმეთა ორგანოების მუშაკებს, შინაგანი ჯარის მოსამსახურეებს,

საინფორმაციო-სადაზვერვო სამსახურის მუშაკებსა და ამ კატეგორიის დაღუპულ პირთა ოჯახის წევრებს პენსიები დაენიშნოთ ... შეღავათები დაუწესდეთ ომის ინვალიდთა და დაღუპულ სამხედრო მოსამსახურეთა ოჯახის წევრთათვის ამჟამად მოქმედი ნორმატივების შესაბამისად.

2. დაევალოს საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტს განახორციელოს ამ დადგენილების შესრულებასთან დაკავშირებული შესაბამისი ღონისძიებანი.

3. დადგენილება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს პარლამენტის სპიკერი ვახტანგ გოგუაძე.

თბილისი, 1993 წლის 18 თებერვალი.

საქართველოს რესპუბლიკის კანონი

29 საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის შესახებ საქართველოს რესპუბლიკის კანონის 25-ე მუხლში ცვლილების თაობაზე

საქართველოს პარლამენტი **ადგენს:**

„საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის შესახებ" საქართველოს რესპუბლიკის 1992 წლის 22 დეკემბრის კანონის 25-ე მუხლიდან ამოღებულ იქნეს სიტყვები „სოციალურ-ეკონომიკური ინფორმაციის კომიტეტი".

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე —
სახელმწიფოს მეთაური ედუარდ შევარდნაძე.

საქართველოს პარლამენტის სპიკერი ვახტანგ გოგუაძე.

თბილისი, 1993 წლის 18 თებერვალი.

საქართველოს პარლამენტის დადგენილება

ეროვნული ბიბლიოთეკა

30 საქართველოს რესპუბლიკასა და რუსეთის ფედერაციას შორის ურთიერთობათა საკითხებზე საქართველოს პარლამენტში გამართული დისკუსიის გამო

საქართველოს რესპუბლიკასა და რუსეთის ფედერაციას შორის ურთიერთობათა საკითხებზე საქართველოს პარლამენტში გამართულ დისკუსიასთან დაკავშირებით საქართველოს პარლამენტი **ადგენს:**

1. გაკეთდეს შესაბამისი განცხადება ქალაქ სოხუმის დაბომბვისა და გენერალ პ. გრაჩოვის მიერ რუსეთის ტელევიზიისათვის მიცემულ ინტერვიუსთან დაკავშირებით.

2. რუსეთთან ურთიერთობის პრინციპულ საკითხებზე მომზადებული ძირითადი ხელშეკრულებების პროექტის საფუძველზე საქართველოს პარლამენტში დაიწყოს დებატები.

3. საქართველოს რესპუბლიკაში რუსეთის ფედერაციის უზენაესი საბჭოს ეროვნებათა საბჭოს თავმჯდომარის რ. გ. აბდულატიპოვისა და რუსეთის ფედერაციის მთავრობის თავმჯდომარის მოადგილის ს. მ. შახრაის სამუშაო ვიზიტის შესახებ კომუნიკეს ტექსტი განსახილველად გადაეცეს საქართველოს პარლამენტის საგარეო საქმეთა კომისიას. კომისიამ პარლამენტს უმოკლეს დროში წარმოუდგინოს თავისი დასკვნა ამ დოკუმენტის თაობაზე.

კომუნიკეს ტექსტი გამოქვეყნდეს რესპუბლიკის ცენტრალურ გაზეთებში.

საქართველოს პარლამენტის სპიკერის მოადგილე რუსუდან ბერიძე.

თბილისი, 1993 წლის 23 თებერვალი.

საქართველოს პარლამენტის დადგენილება

31 აფხაზეთის ტერიტორიაზე მყოფი რუსეთის საჯარისო ნაწილების შესახებ

საქართველოს პარლამენტი **ადგენს:**

1. დაუშვებლად იქნეს მიჩნეული აფხაზეთის ტერიტორიაზე რუსეთის საჯარისო ნაწილების შემდგომი ყოფნა.

2. დაევალოს საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარეს — სახელმწიფოს მეთაურს აწარმოოს მოლაპარაკება რუსეთის ფედერაციული რესპუბლიკის პრეზიდენტთან კონფლიქტის ზონიდან რუსეთის საჯარისო ნაწილების გაყვანის თაობაზე.

საქართველოს პარლამენტის სპიკერის მოადგილე რუსუდან გერიძე.

თბილისი, 1993 წლის 25 თებერვალი.

საქართველოს პარლამენტის დადგენილება

32 საქართველოს მოქალაქეობის შესახებ საქართველოს რესპუბლიკის კანონის თაობაზე

საქართველოს პარლამენტი **ადგენს:**

1. მოწონებულ იქნეს საქართველოს პარლამენტის იურიდიული კომისიის, ქართველ ტრადიციონალისტთა კავშირისა და საქართველოს სახალხო ფრონტის მიერ წარმოდგენილი საქართველოს მოქალაქეობის შესახებ კანონპროექტების ცალკეული დებულებები (ერთვის დედანს).

2. დაევალოს საქართველოს პარლამენტის იურიდიულ კომისიას სხდომაზე გამოთქმული წინადადებებისა და შენიშვნების გათვალისწინებით ორი კვირის ვადაში წარმოუდგინოს პარლამენტს საქართველოს მოქალაქეობის შესახებ კანონპროექტის შეჯერებული ვარიანტი.

საქართველოს პარლამენტის სპიკერის მოადგილე რუსუდან გერიძე.

თბილისი, 1993 წლის 25 თებერვალი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს პარლამენტის

33

განცხადება

1993 წლის 20 თებერვალს 23 საათზე ქ. სოხუმის მშვიდობიანი მოსახლეობის მორიგ ბარბაროსულ დაბომბვასთან დაკავშირებით საქართველოს პარლამენტი აცხადებს:

საქართველოს რესპუბლიკის ხელისუფლებამ ადრეც არაერთხელ გამოხატა აღშფოთება აფხაზეთის კონფლიქტში რუსეთის შეიარაღებული ძალების მონაწილეობის გამო. ეს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური მდივნის ბუტროს გალისადმი ბატონ ედუარდ შევარდნაძის წერილშიც აისახა, რომელშიც ხაზგასმით აღინიშნა, რომ რუსეთი იქცა შეიარაღებულ კონფლიქტში მონაწილე მხარედ.

რუსეთის მასობრივი ინფორმაციის საშუალებებმა გვაუწყეს, რომ ქალაქ სოხუმის დაბომბვის შემდეგ რუსეთის ფედერაციის სამხედრო ხელმძღვანელობის წარმომადგენლებმა განაცხადეს: დაბომბეს სოხუმი და გაანადგურეს „საცეცხლე წერტილები"; თითქოსდა ქართული მხარის მიერ ეშერაში განლაგებული რუსეთის სამხედრო ობიექტის დაბომბვის პასუხად.

მაშინ, როდესაც საქართველოს ერთ-ერთ რეგიონში — აფხაზეთში სისხლისმღვრელი ბრძოლა მიმდინარეობს სეპარატისტებთან და რუსეთიდან შემოჭრილ ამ ქვეყნის მოქალაქეთა უკანონო შეიარაღებულ ფორმირებებთან, რომლებიც ხელყოფენ საქართველოს სუვერენიტეტსა და ტერიტორიულ მთლიანობას, აფხაზეთში განლაგებული რუსეთის ფედერაციის შეიარაღებული ძალების ყოველგვარი საბრძოლო მოქმედება არ შეიძლება შეფასდეს სხვანაირად, თუ არა როგორც აშკარა აგრესია. ნიშანდობლივია, რომ რუსეთის მხარე იმიტომაც აჭიანურებს ეშერიდან — კონფლიქტის შუაგულიდან თავისი ჯარის ნაწილის გაყვანას, რათა ამ „ობიექტის დაცვა" გამოიყენოს საქართველოს შეიარაღებულ ძალებსა და მშვიდობიან მოსახლეობაზე თავდასხმის საბაბად. სწორედ ასეთი აქციებია კლა-

სიფიცირებული აგრესიად გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის 1974 წლის 14 დეკემბრის რეზოლუციაში „აგრესიის განსაზღვრების შესახებ“.

ეროვნული ბიბლიოთეკა

განსაკუთრებით აღსანიშნავია, რომ, როგორც წესი, დაბომბვის ობიექტია ქალაქის საცხოვრებელი უბნები, რის შედეგადაც ინგრევა ათობით საცხოვრებელი სახლი, იღუპებიან ადამიანები. ასეთი ქმედება უმძიმეს დანაშაულად არის აღიარებული „მშვიდობიანი მოსახლეობის დაცვის შესახებ“ ჟენევის 1949 წლის კონვენციით.

ცინიკურად ჟღერს რუსეთის პარლამენტისა და სამხედრო ხელისუფალთა განცხადებები საქართველოში მცხოვრები რუსი ეროვნების მოქალაქეთა უსაფრთხოების დაცვის თაობაზე, მაშინ როდესაც დაბომბვების მსხვერპლთა დაახლოებით ერთ მესამედს სწორედ რუსი ეროვნების მოქალაქენი შეადგენენ.

ამ მოვლენათა ფონზე დიდ აღშფოთებას იწვევს რუსეთის ფედერაციის თავდაცვის მინისტრის პავლე გრაჩოვის ინტერვიუში გაკეთებული განცხადება იმის შესახებ, რომ საქართველოში განლაგებული რუსეთის ჯარებისათვის ბათუმი, გუდაუთა და სხვა რაიონები სტრატეგიულად მნიშვნელოვანია და რომ მათი დატოვება რუსეთისათვის შავი ზღვის დაკარგვას ნიშნავს. ასეთი განცხადება და ის ხერხები, რომლებსაც რუსეთი იყენებს საქართველოში თავისი „სტრატეგიული ინტერესების“ დასაცავად, საფუძველს გვაძლევს დავასკვნათ, რომ იგი უხეშად არღვევს რუსეთ-საქართველოს შორის მოსკოვის 1992 წლის 3 სექტემბრის შეხვედრის შემაჯამებელ დოკუმენტს .და ისევ ძალის პოზიციიდან მოქმედებს, რაც აშკარად ეწინააღმდეგება რუსეთის ხელისუფლების მიერ გამოცხადებულ დემოკრატიზაციის კურსს. რეალური ხდება საქართველოს წინააღმდეგ საომარი მოქმედების ესკალაციის საფრთხე და თუ არ ჩაერევნენ მსოფლიო საზოგადოებრიობა, საერთაშორისო ორგანიზაციები, საქართველო მეორე ავღანეთად გადაიქცევა.

რუსეთის შეიარაღებული ძალების ასეთი ქმედება უაღრესად ართულებს ისედაც დაძაბულ რუსეთ-საქართველოს ურთიერთობას და ჩაშლით ემუქრება ამ ორ სახელმწიფოს შორის მიმდინარე მოლაპარაკებას, რაც, ცხადია, არას არგებს არც რუსი და არც ქართველი ხალხების ინტერესებს.

საქართველოს პარლამენტი გმობს კონფლიქტის ზონაში განლაგებული რუსეთის შეიარაღებული ძალების აგრესიულ ქმედებას საქართველოს მიმართ და მოსალოდნელი შედეგებისათვის ამაულ პასუხისმგებლობას აკისრებს რუსეთის ხელისუფლებას; ამასთანავე დაბეჯითებით მოითხოვს მიღებულ იქნეს ქმედითი ზომები კონფლიქტის ზონიდან რუსეთის ჯარების დაუყოვნებლივ გასაყვანად.

თბილისი, 1993 წლის 24 თებერვალი.